საქართველოს კანონი

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.05.001.016753) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 და 4^2 პუნქტები:

„4^1. სააგენტო თავისი ფუნქციების შესასრულებლად და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად პროგრამულ უზრუნველყოფასა და მართვის ავტომატურ საშუალებებს იყენებს.

4^2. სააგენტო უფლებამოსილია თავისი ფუნქციების შესრულებისას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან კომუნიკაცია ელექტრონული დოკუმენტების საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებით განახორციელოს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

30 მარტი 2021 წ.

N420-IVმს-Xმპ